



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება	გეოგრაფია Geography
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მეცნიერების ბაკალავრი გეოგრაფიაში BSc in Geography
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამის მოცულობა 240 ECTS: • საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 20 ECTS; • საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 20 ECTS; • ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები – 85 ECTS; • ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები – 35 ECTS; • დამატებითი პროგრამის სასწავლო კურსები/გეოგრაფიის მასწავლებლის მომზადების პროგრამის სასწავლო კურსები¹⁾ – 60 ECTS; • თავისუფალი კომპონენტების სასწავლო კურსები – 20 ECTS. ¹⁾ „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს, გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, თუკი მას დაფარული აქვს სწავლის ძირითადი სფეროს პროგრამითა თუ თავისუფალი კომპონენტით გათვალისწინებული სასწავლო კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით. მასწავლებლის მომზადების პროგრამის დასრულების შემდგომ, დიპლომსა და მის დანართში შესაძლებელია მიეთითოს ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით გავლის შესახებ, რის თაობაზეც უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ბაკალავრის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ასევე გასცეს მასწავლებლის მომზადების სერთიფიკატი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი ლია მაჭავარიანი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. • ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. • გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. • გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ალიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საბაკალავრო პროგრამის მიზანია 1. შეასწავლოს სტუდენტს ბუნებრივი სისტემების ორგანიზაცია და მისი ფუნქციონირების სივრცე-დროითი ასპექტები, გარემოს სტრუქტურისა და მისი ცვალებობის თავისებურებები და კანონზომიერებები და ამით უზრუნველყოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალის ჩამოყალიბება. 2. კურსდამთავრებულისთვის შემდეგ საფეხურებზე სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შექმნა; 3. გეოგრაფიის და მომიჯნავე სფეროებში პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის წინაპირობის შექმნა. 4. გეოგრაფიის დარგის განვითარებისთვის, ხელისშეწყობა მის მეტ ინტეგრაციას გარემოსდაცვით, ეკონომიკის, ბიზნესის და ტექნოლოგიების (გის) სხვადასხვა სფეროში.
სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება პროგრამის გავლის შედეგად, კურსდამთავრებული: 1.1 აღწერს გეოგრაფიული გარსის განვითარების ეტაპებს, სტრუქტურასა და დინამიკას, სტრუქტურულ-გეომორფოლოგიურ ელემენტებს, ენდოგენურ და ეგზოგენურ პროცესებს; 1.2 განსაზღვრავს ჰიდროლოგიური პროცესების (ხმელეთის წყლებისა და ზღვების) კანონზომიერებებს, ატმოსფეროს სითბურ რეჟიმს, ცირკულაციასა და კლიმატწარმოქმნას; აღწერს სტიქიური პროცესების გარემოზე ზემოქმედების შედეგებს; 1.3 აყალიბებს ნიადაგწარმოქმნელ ფაქტორებს, ნიადაგების შედგენილობათვისებების, კლასიფიცირებისა და გავრცელების პრინციპებს; 1.4 განსაზღვრავს ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებსა და გეოსისტემების დინამიკას და ახდენს გეოგრაფიული კვლევის მეთოდების კლასიფიცირებას; 1.5 ხსნის ბიოგეოგრაფიული მრავალფეროვნების პრინციპებს; 1.6 ახდენს გეოგრაფიულ მონაცემთა საინფორმაციო სისტემის პრინციპების განზოგადებას და განმარტავს კარტოგრაფიული გამოსახულების ხერხებს; 1.7 განმარტავს რეგიონების, ადგილებისა და მდებარეობის მრავალფეროვნებასა და ურთიერთდამოკიდებულებასა, საზოგადოებრივი გეოგრაფიის კონცეპტუალურ საფუძვლებს; უნარები პროგრამის გავლის შედეგად, კურსდამთავრებულს შეუძლია 2.1 მოიძიოს ზოგად-გეოგრაფიულ მასალა (მათ შორის საველე პირობებში და ინტერნეტის საშუალებით) და განახორციელოს მოძიებული მასალის დოკუმენტირება და შედეგების მოხსენება; 2.2 დარგში არსებული პრობლემების გადაწყვეტისათვის აპრობირებული მეთოდების, მიდგომების, პრინციპების, აგრეთვე ამ სფეროში ცოდნის უახლესი ასპექტების პრაქტიკაში გამოყენება. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა პროგრამის გავლის შედეგად, კურსდამთავრებულს შეუძლია 3.1 დამოუკიდებლად პროფესიული და ეთიკური პრინციპების დაცვით განახორციელოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოს შეფასება, შედეგების შეჯერება და ინტერპრეტაცია; 3.2 დაგეგმოს შემდგომი პროფესიული განვითარება ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სწავლება-სწავლის მეთოდები	პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობა; ამასთანავე წარმოდგენილი საგნების სწავლებისას გამოყენებული იქნება სხვადასხვა სახის მეთოდთა ერთობლიობა, რაც მითითებულია თითოეული საგნის სილაბუსში: ✓ ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; ✓ წიგნზე მუშაობის მეთოდი (რეფერატის დამუშავება, ახალი სტატისტიკური მონაცემების მოძიება, საპრეზენტაციო მასალის შექმნა და წარდგენა); ✓ წერითი მუშაობის მეთოდი (ჩანაწერების გაკეთება, რეფერატის შესრულება, მასალის დაკონსპექტება და ა.შ.); ✓ ლაბორატორიული და/ან დემონსტრირების მეთოდი, რაც გულისხმობს შემდეგ აქტივობებს: საანალიზო ნიმუშების მომზადება, ცდების დაყენება, პოლარიზაციული მიკროსკოპის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება, საპრეზენტაციო მასალის ჩვენება და სხვ.; ✓ პრაქტიკული მეთოდები სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს შემდეგ აქტივობას: საველე მუშაობა, კონტურული რუკების შედგენა, სქემატური და გრაფიკული მასალის შექმნა და სხვ.; ✓ დისკუსია, დებატები – ბუნებრივ გარემოში მიმდინარე პროცესებზე მოსაზრებების გამოთქმა, გაანალიზება, შეფასება; ✓ ჯგუფური მუშაობა (cooperative/collaborative) – ჯგუფში დისკუსიების გამართვა ბუნებრივ გარემოში მიმდინარე სტიქიური პროცესების გამომწვევ გეოგრაფიულ ფაქტორებზე; ✓ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), რაც სტუდენტს სიტუაციური კვლევების უნარს უყალიბებს; ✓ შემთხვევის ანალიზი, რაც გულისხმობს ბუნებრივი სტიქიური პროცესების გამომწვევი მიზეზების გაანალიზებისა და პრევენციის უნარის ჩამოყალიბებას; ✓ ახსნა-განმარტებითი მეთოდი – პედაგოგის მიერ გარკვეული განმარტებების გაკეთება გარემოში მიმდინარე ნებისმიერ ბუნებრივ, თუ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენასა და პროცესზე.
შეფასების სისტემა	(A) ფრიადი - 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, (FX)-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასაქმების სფეროები	• საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციები • სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, • არასამთავრობო და კერძო სექტორი • გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, თავდაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების შესაბამისი უწყებები • საქალაქო და ბუნებრივი გარემოს დაგეგმვისა და მართვის სამსახურები, • მიწის მართვის სისტემა, ჰიდრომეტეოროლოგიური და ნაპირდაცვის სამსახურები, ამინდის პროგნოზისა და სხვადასხვა ტიპის მონიტორინგის სამსახურები • ტურისტული სააგენტოები • საერთაშორისო დარგობრივი საგრანტო პროექტები • ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ორგანოები და კომპანიები • სატრანსპორტო ორგანიზაციები • ყველა სხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურა, სადაც საჭიროა გეოინფორმაციული სისტემები და კარტოგრაფიული ვიზუალიზაცია. სტუდენტს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სწავლების შემდგომ საფეხურზე – სამაგისტრო პროგრამებზე, ჩაერთოს კვლევით პროექტში და ა.შ.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	2250 ლარი
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	ადამიანური რესურსები. გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო და პედაგოგიური პოტენციალი, მათი კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებით განხორციელებას. (იხ. დანართი 5). მატერიალურ-ტექნიკური ბაზა • თსუ მე-2 კორპუსის აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები; • თსუ ბიბლიოთეკები; • ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები; • ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამული პაკეტით აღჭურვილი რესურსცენტრი; • თსუ ელექტრონული პორტალი; • თსუ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების რესურსები (ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი); • უწყებები, რომლებთანაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	იხ. პროგრამის ბიუჯეტი (დანართი 11)
დამატებითი ინფორმაცია	შესაძლებელია გეოგრაფიის ძირითადი (Major) პროგრამის კომბინირება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დამატებით (Minor) პროგრამებთან ან (სტუდენტის სურვილით) თსუ სხვა ფაკულტეტების ნებისმიერ Minor პროგრამასთან.

[illegible]




სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

4		კომპიუტერული (ICT) წიგნიერება	5			0/30	95	-	x							მანანა ხაჩიძე მაია არჩუაძე
საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები (20 ECTS)																
5		გეოგრაფიის შესავალი (სავალდებულოა მოცემული პროგრამისთვის)	5	30		30/0	65	-	x							ნოდარ ელიზბარაშვილი
6		გეოლოგიის შესავალი	5	30		30/0	65	-	x							მარიამ ახალკაციშვილი კახა ქოიავა
7		ბიოლოგიის შესავალი	5	30	30		65	-	x							დიანა შიშიგური თინათინ ჯოხაძე
8		ქიმიის შესავალი	5	30		30/0	65	-	x							ქრისტინა გიორგაძე მარინა ტრაპაძე ელენე კაცაძე
9		ფიზიკის შესავალი	5	30		30/0	65	-	x							ალექსანდრე შენგელაია ოლეგ ხარშილაძე ზაზა ტოკლიკიშვილი
10		ელექტრონიკის შესავალი	5	30		30/0	65	-	x							ცისანა გავაშელი
11		დაპროგრამების საფუძვლები	5	30		0/30	65	-	x							ირინა ხუციშვილი ნათელა არჩვაძე ლიანა ლორთქიფანიძე
12		წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია	5	30		30/0	65	-	x							მალხაზ ბაკურაძე მიხეილ ამალღოელი ქეთევან შავგულიძე ვახტანგ ლომაძე ბაჩუკი მესაბლიშვილი რუსლან სურმანიძე
ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (85 ECTS)																
1		დედამიწისმცოდნეობა	5	30		15/0	80	გეოგრ. შესავალი		x						დალი ნიკოლაიშვილი
2		გეომორფოლოგია	5	30		15/0	80	გეოგრ. შესავალი		x						გიორგი დვალაშვილი
3		მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია	5	30		15/0	80	გეოგრ. შესავალი		x						ლამზირა ლალიძე
4		ნიადაგმცოდნეობა	5	30		0/15	80	გეოგრ. შესავალი		x						ლია მაჭავარიანი ელენე ნიკოლაიშვილი
5		ჰიდროლოგია	5	30		15/0	80	გეოგრ. შესავალი		x						დავით კერესელიძე ვაჟა ტრაპაძე გიორგი ბრეგვაძე



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

6		გეოგრაფიის კვლევის მეთოდები	5	30		15/0	80	გეოგრ. შესავალი				x					დალი ნიკოლაიშვილი	
7		კარტოგრაფია	5	30		15/0	80	გეოგრ. შესავალი				x					თენგიზ გორდუზიანი	
8		ოკეანოლოგია	5	30		15/0	80	გეოგრ. შესავალი				x					დავით კერესელიძე გიორგი ზრეგვაძე	
9		ლანდშაფტმცოდნეობა	5	30		15/0	80	გეოგრ. შესავალი					x				ეთერ დავითაია	
10		საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია	5	30		15/0	80	გეოგრ. შესავალი					x				ზურაბ სეფერთელაძე თამარ ალექსიძე	
11		მსოფლიოს სოციალურ- ეკონომიკური გეოგრაფია	5	30		15/0	80	გეოგრ. შესავალი						x			გიორგი მელაძე	
12		მსოფლიოს ფიზიკური გეოგრაფია	5	30		15/0	80	გეოგრ. შესავალი						x			ზურაბ სეფერთელაძე თამარ ალექსიძე	
13		გეოინფორმაციული სისტემები-1	5	15		30/0	80	კარტოგრაფია, გეოგრ. კვლ. მეთ.					x				ლალი ქუთათელაძე გიორგი გაფრინდაშვილი	
14		საქართველოს სოციალურ- ეკონომიკური გეოგრაფია	5	30		15/0	80	მსოფლიოს სოც.- ეკონ. გეოგრაფია							x		გიორგი მელაძე	
15		ბიოგეოგრაფია	5	30	15		80	გეოგრ. შესავალი								x	მაია ჩუბინიძე	
16		სასწავლო-საველე პრაქტიკა გეოგრაფიაში-1	5			80/0	45	გეოგრ. შესავალი					x				რობერტ მაღლაკელიძე თენგიზ გორდუზიანი გიორგი მელაძე ბესიკ კალანდაძე	
17		სასწავლო-საველე პრაქტიკა გეოგრაფიაში-2	5			80/0	45	სასწ.-სავ. პრაქტიკა-1							x		რობერტ მაღლაკელიძე ბესიკ კალანდაძე თენგიზ გორდუზიანი ვაჟა ტრაპაიძე ეთერ დავითაია გიორგი დვალაშვილი გიორგი ზრეგვაძე	
ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (მინიმუმ 35 ECTS)																		
18		ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია	5	30		15/0	80	გეოგრ. შესავალი						x			ეთერ დავითაია	
19		რეგიონული გეოგრაფია (საქართველო)	5	30		15/0	80	საქ. ფიზ. გეოგრ.							x		თამარ ალექსიძე	
20		ბუნებრივი გარემოს ტრანსფორმაცია	5	30		15/0	80	საქ. ფიზ. გეოგრ.								x	თამარ ალექსიძე	
21		მთის ლანდშაფტები	5	30		15/0	80	ლანდშაფტმცოდ.									x	ეთერ დავითაია
22		კავკასიის ბუნება და რესურსები	5	30		15/0	80	საქ. ფიზ. გეოგრ.						x			დალი ნიკოლაიშვილი თამარ ალექსიძე	



23	თემატური და ატლასური კარტოგრაფია	5	30		15/0	80	კარტოგრაფია							x		თენგიზ გორდეზიანი
24	გეოინფორმაციული სისტემები-2	5	15		30/0	80	გის-1					x				ლალი ქუთათელაძე გიორგი გაფრინდაშვილი
25	გეოინფორმაციული სისტემები-3	5	15		30/0	80	გის-2						x			ლალი ქუთათელაძე გიორგი გაფრინდაშვილი
26	გეოინფორმაციული სისტემები-4	5	15		30/0	80	გის-3							x		ლალი ქუთათელაძე გიორგი გაფრინდაშვილი
27	დისტანციური ზონდირება	5	30		15/0	80	გის-2							x		გიორგი გაფრინდაშვილი
28	რუკათმცოდნეობა	5	30		15/0	80	კარტოგრაფია				x					თენგიზ გორდეზიანი
29	კარსტოლოგია	5	30		15/0	80	გეომორფოლოგია						x			გიორგი დვალაშვილი
30	გლაციოლოგია	5	30		15/0	80	გეომორფოლოგია							x		გიორგი დვალაშვილი
31	პრაქტიკული გეომორფოლოგია	5	30		15/0	80	გეომორფოლოგია							x		გიორგი დვალაშვილი
32	საქართველოს გეომორფოლოგია	5	30		15/0	80	გეომორფოლოგია					x				გიორგი დვალაშვილი
33	საქართველოს გეოდინამიკური პროცესები	5	30		15/0	80	გეომორფოლოგია								x	გიორგი დვალაშვილი
34	საქართველო მსოფლიოს ფონზე	5	30		15/0	80	გეოგრ. შესავალი					x				ლია მაჭავარიანი
35	გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები	5	30	15		80	გეოგრ. შესავალი						x			ნოდარ ელიზბარაშვილი
36	მოსახლეობის გეოგრაფია დემოგრაფიის საფუძვლებით	5	30		15/0	80	მსოფლიოს სოც.-ეკონ. გეოგრაფია						x			გიორგი მელაძე
37	სტატისტიკური მეთოდები გეოგრაფიაში	5	30		15/0	80	კალკულუსი, გეოგრ. შესავალი								x	მარიამ ელიზბარაშვილი
38	ლანდშაფტების არქიტექტურა	5	30		15/0	80	ლანდშაფტმცოდ.								x	რობერტ მაღლაკელიძე
39	ნიადაგების გეოგრაფია	5	30		15/0	80	ნიადაგმცოდნეობა						x			ბესიკ კალანდაძე
40	ნიადაგების კლასიფიკაცია	5	30		15/0	80	ნიადაგმცოდნეობა							x		ბესიკ კალანდაძე
41	მიკროპედოლოგია	5	15		0/30	80	ნიადაგმცოდნეობა								x	ლია მაჭავარიანი
42	კლიმატური რესურსები	5	30		15/0	80	მეტეორ.-კლიმატ.				x					ლამზირა ლალიძე
43	წყლის რესურსები	5	30		15/0	80	ჰიდროლოგია					x				ვაჟა ტრაპაძე
44	ატმოსფერული პროცესები	5	30		15/0	80	მეტეორ.-კლიმატ.							x		ლამზირა ლალიძე
45	ჰიდროლოგიური პროცესები	5	30		15/0	80	ჰიდროლოგია						x			ვაჟა ტრაპაძე
46	რეგიონალური ოკეანოგრაფია	5	30		15/0	80	ოკეანოლოგია						x			კახაბერ ბილაშვილი
47	ჰიდრომეტრია	5	30		15/0	80	ჰიდროლოგია								x	გიორგი ბრეგვაძე
48	ლანდშაფტების კლიმატოლოგია	5	30		15/0	80	ლანდშაფტმცოდ.					x				მარიამ ელიზბარაშვილი
დამატებითი პროგრამა		60	ECTS													



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(სტუდენტის სურვილით):													
თავისუფალი კომპონენტები (სტუდენტის სურვილით):	20	ECTS											
სულ:	240	ECTS		30	30	30	30	30	30	30	30		

- საბაკალავრო პროგრამის „გეოგრაფია“ ახალი რედაქციით (აკადემიური საბჭოს #122/2020 დადგენილება) დამტკიცებამდე ჩარიცხულ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ დაასრულონ საბაკალავრო პროგრამა ამ დადგენილების მიღებამდე არსებული რედაქციით.

აღნიშნული ძალაშია 2023 წლის 1 სექტემბრამდე.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს სურვილის შემთხვევაში საშუალება მიეცეთ პროგრამა გაიარონ ახალი რედაქციით.

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____

ფაკულტეტის ბეჭედი